მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(44) 2013 წ. 16-31 მარტი ფასი 50 თეთრი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ 996 000 ლარზე მეტ სამუშაოებს ითვალისწინებს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თედო ბეჭანიშვილი (მარცხნიდან მარჯვნივ მეორე), მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ გაცნობისას სოფლის რწმუნებულებთან

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ კეთდება საქართველოს სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“. საინტერესოა აღნიშნული პროგრამის მიზანი, სოფელზე გამოყოფილი თანხის ოდენობა, ამ თანხის გახარჯვა-მოხმარების პრინციპი და შეუძლია თუ არა მონაწილეობის მიღება ამ პროცესებში მოსახლეობას? სწორედ ამ საკითხების და მთლიანად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაწვრილებითი გაცნობა იყო მთავარი მიზანი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის **თედო ბეჭანიშვილის** შეხვედრისას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებთან. როგორც ბ-ნმა თედომ აღნიშნა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ საქართველოს ხელისუფლების ინიციატივაა, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სოფლის პირველი რიგის პრობლემების გადაწყვეტა, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობა, მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაღრმავება და ურთიერთობების აღდგენა, თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გაძლიერება.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2013 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ პროექტების განსახორციელებლად 50 მილიონი ლარია გამოყოფილი. სოფლისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა განისაზღვრება სპეციალური ფორმულის საფუძველზე, რომელიც გაიანგარიშება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში დასახლებების, ოჯახებისა და მოსახლეობის გათვალისწინებით. ეს თანხა გამოყენებულ უნდა იქნეს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დასაფინანსებლად, კერძოდ ეს შეიძლება იყოს:

1. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია. იგულისხმება: ხიდების აღდგენა, სოფლის გზის შეკეთება, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის, სარწყავი არხების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი თუ სანიაღვრე და გამწმენდი სამუშაოების ჩატარება და ასე შემდეგ.

2. სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება. მაგალითად: სოფლის წყაროს მოწყობა, მოსახლეობის თავშეყრის ადგილის კეთილმოწყობა, სოფლის სტადიონის შეკეთება, სოფლის კლუბის მოწყობა და ა.შ.

რაც შეეხება თანხის გამოყენების მიზნობრიობას, იგი განისაზღვრება მხოლოდ შესაბამის სოფლის მოსახლეობასთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ.მიზნობრიობის განსაზღვრაზე კი პასუხისმგებელია შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული ამ ერთობიდან არჩეული საკრებულოს წევრთან ერთად. სწორედ ეს პირები ატარებენ სოფლის მოსახლეობის გამოკითხვას, ორგანიზებას უკეთებენ სოფლის კრების მოწვევასა და ჩატარებას, აწყობენ საჯარო განხილვებს და ათანხმებენ მოსახლეობასთან „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით სოფელზე გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობას. სამუშაო უშუალოდ სრულდება უმთავრესად სოფლის მოსახლეობის მიერ და შესრულებულ სამუშაოს უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი.

სამუშაოთა შესრულების პროცესში სოფლის მოსახლეობა უშუალოდ უნდა აკონტროლებდეს პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმდინარეობას. ამასთან, სოფლის რწმუნებული ვალდებულია სოფლის მოსახლეობას გააცნოს ანგარიში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხის ათვისების შესახებ.

რაც შეეხება პროგრამის მოცულობასა და სტრუქტურას, აქ საქმე შემდეგნაირადა – საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად, გამოყოფილი 50 მილიონი ლარი ნაწილდება შემდეგი პრინციპით:

1. არაუმეტეს 50 სულიანი სოფლისათვის – 2000 ლარი;

2. 51-დან 200 სულამდე სოფლისათვის – 4000 ლარი;

3. 201-დან 400 სულამდე სოფლისათვის – 5000 ლარი;

4. 401-დან 1000 სულამდე სოფლისათვის – 8000 ლარი;

5. 1000-ზე მეტსულიანი სოფლისათვის – 12000 ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის“ შემდეგი ღირებულების 43 პროექტი უნდა განხორციელდეს: გომბორი – 19479 ლარი; რუსიანი – 5385 ლარი; ვერონა – 5611 ლარი; ვაშლიანი – 2381; ასკილაური – 5762; უჯარმა – 14117; პალდო – 2403; მუხროვანი – 2214; კოჭბანი – 6341; ოთარაანთ კარი – 2378; სასადილო – 5196; გორანა – 5599; იკვლივ გორანა – 2441; ხაშმი – 32895; პატარძეული – 52908; ნინოწმინდა – 41957; წყაროსთავი – 26538; გიორგიწმინდა – 43669; ანთოკი – 5133; მარიამჯვარი – 2189; თოხლიაური – 28048; კრასნოგორკა – 5636; მანავი – 54733; ბურდიანი – 2629; დიდი ჩაილური – 24776; პატარა ჩაილური – 25720; კაკაბეთი – 55274; ვერხვიანი – 14923; ყანდაურა – 27230; ზემო ყანდაურა – 2503; ბადიაური – 31258; ბოგდანოვკა – 16142; შიბლიანი – 15238; იორმუღანლო – 42398; ქეშალო – 61064; დუზაგრამა – 20335; პალდო – 18951; წიწმატიანი – 27104; ზემო ლამბალო – 65508; ქვემო ლამბალო – 67761; თულარი – 60863; კაზლარი – 26400; უდაბნო – 17818.

P.S ***აღნიშნული თანხები ბოლომდე დაზუსტებული არ არის.***

„ბერიკაობა“ სოფელ დიდ და პატარა ჩაილურში

ბერიკაობა–უძველესი წარმართული ტრადიციაა, რომელიც მძიმე მარხვის დაწყების წინ, ყველიერის ორშაბათს იწყება და მთელი კვირა გრძელდება, ეს ტრადიცია სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს და განაყოფიერების კულტის სადიდებელი რიტუალია, „ბერ“-ნიშნავს შვილს, სახელწოდებაც შვილიერებას უკავშირდება და აქედან მომდინარეობს, ბერიკები კარდაკარ შემოივლიან სოფელს, მოსახლეობას ფულს და ძღვენს ართმევენ, ვინც არ ეხმარებათ „სჯიან“, ცეკვავენ და მღერიან სპეციალურად ამ დღისათვის დაწერილ სიმღერას, შემდეგ უკვე საღამოს ლხინის სუფრას მართავენ, მოსახლეობა ყოველ წელს, სიხარულით ხვდება ბერიკებს, საჩუქრად სანოვაგეს მიართმევენ, დღესასწაულის მონაწილენი ცეკვა-თამაშით მიმოივლიან მთელ სოფელს.

მიმდინარე წლის 17 მარტს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში დიდ და პატარა ჩაილურში ტრადიციულად ბერიკაობის დღესასწაული აღინიშნა, სოფელ დიდი ჩაილურის მთავარ მოედანზე ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ჭიდაობა გაიმართა, სადაც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, პარალელურად ბერიკაობას დღესასწაულობდა სოფ. პატარა ჩაილურის მოსახლეობა.

ბერიკაობის დღესასწაულს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჯიაურელი**, მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი ლოლაძე,** გამგებლის მოადგილე **ბესიკ მარტიაშვილი** და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

ჩვენი ხელმოძღვართათვის გაზეთის ეს ნომერი სიურპრიზია!

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 მარტის რიგგარეშე სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ჭიაურელი** უძღვებოდა.

სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის №23 დადგენილების შესაბამისად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების ნუსხა.

ასევე, სხდომის მონაწილეებმა განიხილეს და შესაბამისი დადგენილებები მიიღეს შემდეგ საკითხებზე:

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 სექტემბრის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვის და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2010 წლის 10 ივლისის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

საკრებულოს სხდომაზე განიხილეს საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება – თანახმად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ 57-ე მუხლის II პუნქტისა.

გთავაზობთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების ნუსხას, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამავე სხდომაზე განიხილეს „საქართველოს მთავრობის 2013 წლის №23 დადგენილების შესაბამისად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ და რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაეგზავნება განსახილველად.

სოფ. ნინოწმინდის გარე წყალსადენის მოწყობა;

სოფელ გომბორში ხევის უბანში ხევზე გადასასვლელი ხიდის მოწყობა;

სოფელ გიორგიწმინდის წყალსადენის აღდგენა;

სოფელ გიორგიწმინდა-ანთოკი-მარიამჯვრის შემაერთებელი ანთოკის ხევზე გადასასვლელი მცირე ტვირთამწეობის ხიდის მოწყობა;

ქ. საგარეჯო, თვალთხევის კალაპოტის აღდგენა, ნაპირსამაგრი სამუშაოები;

სოფ უდაბნოს სასმელი წყლის წყალსადენის მოწყობა;

ქალაქ საგარეჯო, წიფლისხევის კალაპოტის აღდგენა-გამაგრება;

ქალაქ საგარეჯოს კანალიზაციის ქსელის დაბოლოვება, გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;

სოფ. ვერხვიანი, კახეთის გზატკეცილი-ცენტრალური სასოფლო გზის აღდგენა;

ქალაქ საგარეჯოს კახეთის, კეცხოველის, კიკვიძის, წერეთლის, სათავის, ჩოლოყაშვილის, მშვიდობის, ქურდიანის ქუჩების რეაბილიტაცია;

ქალაქი საგარეჯო, თამარ მეფის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქალაქი საგარეჯო – სანიაღვრე არხების აღდგენა რუსთაველის დ. აღმაშენებლის, ერეკლე II-ის, წიფლისხევის, კახეთის, კოსტავას, ჯაფარიძის, იმედის ქუჩებზე;

ქალაქი საგარეჯო. მდინარე იორზე მცირე ტვირთამწეობის ხიდის მოწყობა;

სოფ. ანთოკისა და მარიამჯვარის წყლის სათავეებისა და წყალსადენების რეაბილიტაცია;

სოფ. მზისგულის ცენტრალური სასოფლო გზის მოწყობა;

სოფ. დუზაგრამა-თულარის ცენტრალური სასოფლო გზის მოწყობა;

სოფ. პატარა ჩაილური-კაკაბეთი-ვერხვიანი-ყანდაურის შემაერთებელი გზის აღდგენა საერთო სიგრძით 4.8 კმ;

სოფ. ბურდიანის ცენტრალური სასოფლო გზის აღდგენა;

სოფ. ხაშმის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია;

სოფ ხაშმის წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალის დაზიანებული მონაკვეთის შეცვლა;

სოფ. კაკაბეთი, ცენტრალური სასოფლო გზის რეაბილიტაცია;

სოფ დიდი ჩაილური, დიდი ჩაილურის ხევის კალაპოტის გამაგრება მეწყერსაშიშ მონაკვეთზე;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატარძეულის ფიდინაანთ ხევზე სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური წყალსადენის მოწყობა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში „პავლიაანთ ხევის“, „ჭინჭრიაანთ“ ხევის, „რუსიანთ“ ხევის, „ქალის ციხის“ ხევის კალაპოტების გაწმენდა, დაზიანებული ნაპირების გამაგრება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. შიბლიანის ცენტრალური სასოფლო გზის, კახეთის გზატკეცილი-სოფ. შიბლიანის გზის პროფილის აღდგენა-მოასფალტება.

განცხადება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების 2012 წლის ანგარიში და დაწყებულია ანგარიშის დამტკიცების პროცესი საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 89-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის **19 მარტის** სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები, გამგეობის სამსახურების უფროსები ესწრებოდნენ. თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი ლოლაძე** უძღვებოდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაწვრილებით გამოიკითხა თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში არსებული მდგომარეობა. როგორც გაირკვა, სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ მიუღია ფულადი დახმარება, თუმცა, როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, არ დარჩება არც ერთი დაზარალებული დახმარების გარეშე, საჭირო მხოლოდ მოცდა ახალი სიების გამოქვეყნებამდე.

როგორც ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა აღნიშნეს, და ეს საკითხი ქალაქის რწმუნებულმა გიორგი ქვლივიძემ პირველმა წამოჭრა, სასაფლაოებთან მისასვლელი გზები საკმაოდაა დაზიანებული. აღნიშნული გზები მძიმე ტექნიკის სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ ამ პრობლემის აღდგომამდე მოგვარების გეგმა დასახა თითოეული ტერიტორიული ორგანოს მიხედვით.

თათბირზე, ასევე, გაკეთდა ზეპირი ინფორმაციები იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გაზაფხულის ძალაში შესვლამდე უნდა მოგვარდეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის **26 მარტის** თათბირს უძღვებოდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ბესიკ მარტიაშვილი.** თათბირი დაიწყო 25 მარტს ძლიერი ქარისაგან ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზარალის გაცნობით. როგორც გაირკვა, ყველაზე ძლიერ დაზიანდა უდაბნოს მოსახლეობა. აქ 15 საცხოვრებელი სახლი დაზიანდა – ნაწილობრივ გადახადა, ან მთლიანად დაზიანდა სახურავები. ასევე გაირკვა, რომ ყანდაურაში, ხაშმსა და კოჭბანში ნაწილობრივ დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლის და მზისგულის საკრებულოს შენობის სახურავი. მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ უკვე შექმნილია სათანადო დოკუმენტაცია უდაბნოს მოსახლეობის ზარალის აღსანუსხავად და სათანადო დახმარების გასაწევად.

„ნოვრუზ-ბაირამობა“ იორმუღანლოში

„ნოვრუზ ბაირამობა” მარტის დასაწყისში იწყება და ყველა კვირის დღეს სხვადასხვა დატვირთვა აქვს, არის მიწის დღე, არის წყლის, არის ცეცხლის ანუ ნათების დღე. ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულს მუსლიმანები გაზაფხულის დადგომასა და ახალი ცხოვრების დასაწყისს უკავშირებენ, ერთმანეთს ბარაქასა და სიკეთეს უსურვებენ.

აუცილებლად ყველა ოჯახში უნდა იყოს ამ დღეს მწვანე ჯეჯილი, ასევე იღებება ფერად–ფერადი კვერცხები, ცხვება ტკბილეული, იშლება სუფრა და ყველა ზეიმობს, „ნოვრუზ ბაირამობას“ ანუ გაზაფხულის დღესასწაულზე, სამი სახის ნამცხვარი მზადდება, ესენია: „შაქარბურა“, „გოღალი“ და „ფახლავა“. ასევე იღებება წითლად კვერცხები, რომელსაც ჯეჯილში ალაგებენ.

“ნოვრუზ-ბაირამობის” დღესასწაულთან დაკავშირებით, სოფელ იორმუღანლოში საზეიმო ღონისძიებები გაიმართა, საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა **თინათინ ხიდაშელმა** და მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გიორგი ლოლაძემ**, ამ დღესასწაულთან დაკავშირებით იორმუღანლოელ ინვალიდებს, ინვალიდის (17 ეტლი) გადასცეს საჩუქრად.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის რესპულიკიდან მოწვეული საპატიო სტუმრები, რომლებმაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად, პატივი მიაგეს 1990 წლის 20 იანვარს, ბაქოში, საბჭოთა არმიის მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი მიტინგის დარბევისას ტრაგიკულად დაღუპული კაიბოვ ალასკარის ხსოვნას.

სტუმრებმა ზეიმის დაწყებამდე დაღუპული გმირის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი თემი კოჭბანი

რწმუნებული
მალხაზ წიკლაური

თემში შემავალი სოფლები: კოჭბანი, ოთარაანთ კარი, სასადილო, იკვლივ გორანა, გორანა, მუხიანი, ჭეხილა.

სოფლები: მოსაცური, ხინჭები, ბოტკო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მოსახლეობისგან დაიცალა.

კომლი – 253;

მოსახლე 330 კაცი.

მიწის ფართობი:

სულ – 1271 ჰა; აქედან:

კერძო – 463 ჰა;

სახელმწიფო – 808 ჰა;

სასოფლო-სამეურნეო მიწები:

სულ – 1126 ჰა; აქედან:

კერძო – 463 ჰა;

სახელმწიფო 663 ჰა.

სახნავი:

სულ – 461 ჰა;

აქედან:

კერძო – 360 ჰა;

სახელმწიფო – 101 ჰა.

სათიბი:

სულ – 75 ჰა; აქედან: სახელმწიფო – 75 ჰა.

საძოვარი:

სულ – 550 ჰა.

აქედან: კერძო – 200 ჰა.

სახელმწიფო – 350 ჰა.

მრავალწლიანი ნარგავები:

კერძო – 40 ჰა,

კოჭბანის თემის რწმუნებულია **მალხაზ წიკლაური**. დაიბადა 1966 წელს, ქალაქ თელავში. დამთავრებული აქვს საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გაიარა სასწავლო კურსები. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ევროპის ქვეყნებში. ბოლო დროს მუშაობდა ქალაქ საგარეჯოში ფირმა „საგმაიკოპში“.

კოჭბანის თემის დეპუტატია საგრეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულ;ოში **ჯემალ წიკლაური**.

დაიბადა 1960 წელს სოფელ გორანაში. 1975 წელს დაამთავრა კოჭბანის 8-წლიანი სკოლა. შემდეგ ყვარლის რაიონის ენისლის პროფტექნიკური სასწავლებელი ტრაქტორისტ-მემანქანის სპეციალობით. 1979-81 წწ-ში იყო სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. 1981 წლიდან მუშაობდა გომბორის მებოსტნეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზატორად. შემდეგ იყო საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ტყის მცველი. ბოლო 15 წელია კოჭბანის თემის უცვლელი დეპუტატია საგარეჯოს რაიონის საკრებულოში.

დეპუტატი
ჯემალ წიკლაური

თემის სხვადასხვა სოფლებში „სოფლის მხარდამჭერი“ და ადილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით 2011 წელს ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები. ასე მაგალითად: კოჭბანის სასმელი წყლის რეაბილიტაციას მოხმარდა 5407 ლარი; ოთარაანთ კარის სასმელი წყლის რეაბილიტაციას – 2209 ლარი. ასევე სასადილოსა (4724 ლარი) და გორანას (4989 ლარი) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას მიექცა ყურადღება. იკვლივ გორანაში შიდასასოფლო გზის რეაბილიტაციას კი 2249 ლარი მოხმარდა.

რაც შეეხება სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაციას 2012 წელს, კოჭბანში 6337 ლარი, ოთარაანთ კარში – 2377 ლარი, სასადილოში – 5194 ლარი, გორანაში – 5596 ლარი მოხმარდა. იკვლივ გორანას სასოფლო გზის მოხრეშვას 2440 ლარი.

– ბატონო მალხაზ, მთის ყველა სოფელი რესპუბლიკის მასშტაბით ხელის შეშველებას ითხოვს. უპირველესი პრიორიტეტები რა გამოკვეთა თემის მოსახლეობამ ამ ეტაპზე, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს?

– ისევე, როგორც ყველა სოფელში მთის ზონის და კონკრეტულად კოჭბანის თემის სოფლებში სარეაბილიტაციოა სასმელი წყლის სისტემა, შესაკეთებელია ხიდები, მოსახრეშია სასოფლო გზები, შემოსაღობია სასაფლაო.



პედაგოგი
ანგელინა ნადირაძე

– თემის საკრებულოს შენობაში განლაგებული სამივე ოთახი, როგორც ჩანს დაკავებულია...

– დიახ, საკრებულოს შენობა ახალი აშენებულია, თუმცა მისი მშენებლობა ჯერ კიდევ ათეული წლების წინ დაიწყო და როგორც იქნა ორიოდე წლის წინ დამთავრდა. შენობაში 3 ოთახია. ერთი საკრებულოს განკარგულებაშია, ერთში სასოფლო ბიბლიოთეკაა განთავსებული, ერთში კი საექიმო პუნქტის მოწყობა გვინდა. ამასთან, შენობის ეზო, როგორც ხედავთ, შემოსაღობია. მის გარშემო თხრილია, რომელშიც სასმელი წყლის მილები გასული წლის სექტემბერში უნდა ჩაეწყოთ...

– ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 8500 ერთეულს მოიცავსო, მითხრა ბიბლიოთეკის ყოფილმა ბიბლიოთეკარმა. ბიბლიოთეკა მშვენივრადაა შენახული და მომზადებული მკითხველისათვის...

– დიახ, ბიბლიოთეკა მკითხველს ელოდება. ბიბლიოთეკარი კი შტატის კვლავ დაშვებას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გაუქმდა და ახლა გაზაფხულიდან აღდგენას გვპირდებიან.

საჯარო სკოლის დირექტორი
თამარ წიკლაური

– ბიბლიოთეკა, სასოფლო კლუბი, სპორტული დარბაზი ან მოედანი ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის ახალგაზრდობისთვის...

– არა მარტო ახალგაზრდობისთვის. მთის სოფლებში ძალიან უყვართ პოეზია, თითქმის ყველა წერს ლექსებს. გვყავს სახალხო მთქმელი გრიშა აფციაური, რომელსაც მხოლოდ თემის მოსახლეობა არ იცნობს თავისი ლექსებით. ლექსებს მკითხველი უნდა. ჩვენთან კი ყველა ღონისძიებას კოჭბანის საჯარო სკოლის შენობაში ვატარებთ – სასოფლო კლუბი ავარიულ მდგომარეობაშია. ყველანაირად ვეცდები, რომ უმოკლეს ვადაში ჩვენს მოსახლეობას სასოფლო კლუბის ნორმალური შენობა ჰქონდეს.

– ჯერჯერობით საჯარო სკოლის შენობა მართლაც ყველაფერში გეხმარებათ.

– დიახ, აქ 35 მოსწავლეა. მათ აღზრდას 7 პედაგოგი ემსახურება. სკოლის შენობა ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდში შენდებოდა, როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, მაგრამ შემდეგ გორანიდან სკოლა ამ შენობაში გადმოიტანეს – შობადობამ ისე იკლო ერთი პერიოდი, რომ საბავშვო ბაღის აუცილებლობა აღარ იყო.

44 წელიწადია კოჭბანის საჯარო სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ქ-ნი ანგელინა ნადირაძე. მან გორანის 8-წლიან სკოლაში 1968 წელს მიიღო მასწავლებლობის ნათლობა. რაღაცნაირი ეჭვით შეხვდა სოფელი თვალმახარა, ნანინანატრად გაზრდილ გოგონას. ხელიც ჩაიქნიეს, დედისერთა და ისიც თბილისელი ჩვენთან არ გაჩერდებაო, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ მას მოსწავლეების დიდი სიყვარული, აქაური მოსახლეობის პატივისცემა და თავისი საქმის ერთგულება შეეძლო. მანამდე აქ რუსულის მასწავლებლად არავინ იყო. ახლად მოსული დიდი

საკლუბო მუშაობის სპეციალისტი
ხათუნა მაქელური

ენთუზიაზმით შეუდგა თავის საქმეს. მალე სასადილოელ მექანიზატორს დაუკავშირა თავისი ბედი და სამუდამოდ დარჩა მთის სოფელში. შეეძინა ორი ვაჟი და ერთი ქალი. დღეს ქ-ნი ანგელინა 75 წლისაა. ცხოვრობს სოფელ სასადილოში, 15 წელია მეუღლე იმქვეყნის ბინადარი გახდა. მარტოა, მაგრამ ვერ ტოვებს ვერც თავის სახლს და ვერც თავის მოსწავლეებს. ფეხით მიუყვება კოჭბანის საჯარო სკოლისკენ გზას. გზა გრძელია, დამქანცველი, მაგრამ სამაგიეროდ, მოსწავლეები ახალისებენ.

– ბ-ნო მალხაზ, თქვენ გარდა კოჭბანის თემის რწმუნებულის პოსტისა, მთის სამივე თემის კოორდინატორიც ხართ. ამდენად, სამივე თემის კოჭბანის, გომბორის, უჯარმის, მოსახლეობის პრობლემები იცით.

– ასეა, ამიტომაც საერთო პრობლემის მოგვარება დავიწყე და როგორც მოგეხსენებათ, 1 თებერვლიდან აქ სამარშრუტო ხაზი საგარეჯო-უჯარმა-გომბორი-კოჭბანი დავნიშნეთ. ამ სამარშრუტო ტაქსმა ჩვენი ზონის მოსახლეობას ბევრი პრობლემა მოუხსნა. პრობლემები საერთოა და მოგვარებასაც საერთო ძალისხმევა სჭირდება. არც ერთი სოფელი არ არის უყურადღებოდ მისატოვებელი. ჩვენიანი იყო სახალხო მთქმელი ღვთისო წიკლაური, გვეამაყება 85 წლის სახალხო მთქმელი გრიშა აფციაური, აქაურები ვერ ივიწყებენ სულით და ხორცით ინტელიგენტს, დამსახურებულ პედაგოგსა და ქართული სიტყვის პატივისმცემელ რევაზ არჩემაშვილს. ჩვენებურია სოლომონ მახაური, – სასოფლო-სამეურნეო უნივერსირტეტის ლექტორი. იკვლივ გორანელია ილია ბექაური – მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ახალგაზრდობა დაუსაქმებელია. ძირითადად მესაქონ-

დასასრული მე-4 გვერდზე

საკრებულოს შენობა

პროექტის განხორციელება დაიწყო

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ განსახორციელებლად საკმაოდ სერიოზული მუშაობა დაიწყეს ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში – დაზუსტდა ამ პროექტში მონაწილეთა სია, თუმცა სიების ამ დაზუსტებას მართლაც დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა – წლებით სოფელთან კავშირგაწყვეტილი კომლები, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში ცხოვრობენ, ერთგვარ სირთულეს ქმნიან მიწის ნაკვეთების დასაზუსტებლად. თუმცა ამასაც ეშველა – როგორც ყოველთვის, ყოველგვარ სიახლეს მინიმალური დოზით გაურკვევლობა სდევს თან. გაირკვა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ჩვენს მუნიციპალიტეტში რამდენიმე სოფლის მოსახლეობის სია სასოფლო-სამეურნეო ბარათების გასაცემად, აღარ გადმოცემულა, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნიდა ადგილებზე. აღნიშნულ ფაქტზე კომენტარი ვთხოვეთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსს*** **მიხეილ კერატიშვილს.**

– დიდი ჩაილურის, ვერხვიანის, ბადიაურის, უდაბნოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე გასაცემი სასოფლო-სამეურნეო ბარათი (0.25-დან 1.25 ჰა-მდე) მართლაც არ გადმოცემულა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ჩვენს მუნიციპალიტეტში. ამიტომ ზემოთ აღნიშნული სოფლების სია ხელმეორედ, ოპერატიულად დავაზუსტეთ და 13 მარტს კვლავ გადავგზავნეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის უწყებაში. აღსანიშნავია, რომ სოფელ მანავში სასაოფლო-სამეურნეო ბარათი ნომინალური მხოლოდ 12-ს ჰქონდა მიღებული, კომბინირებული კი 6 მოქალაქეს. აღნიშნული სოფლიდან გამორჩენილი იყო 936 მოქალაქე. ზემოთ აღნიშნული სოფლის გარდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2251 მოქალაქეზე დამატებითი სია იყო გადაგზავნილი 4 მარტისათვის. აღრიცხვის სიზუსტეს ართულებდა გარდაცვლილთა და სოფელთან კავშირგაწყვეტილი მოქალაქეების სიების დაუზუსტებლობა, რაც საბოლოოდ დაზუსტებულ იქნა. 25 მარტისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 757 ჰექტარია მოხნული. მუნიციპალიტეტში მიღებულია 3496 ცალი კომბინირებული და 6610 ცალი ნომინალური ბარათი. აქვე აღვნიშნავ, რომ ნომინალური ბარათით იხვნება მაქსიმუმ 0.25-დან 1.25 ჰა-მდე. ნომინალურ ბარათზე 1 ჰა-ზე ნაღდდება 300 ლარი, 1.25-ზე 370 ლარი. 2 ჰა-დან 5 ჰა-მდე 640 ლარი. ბარათების გამოყენება მოქალაქეებს შეუძლიათ საგარეჯოში არსებულ სამ სასოფლო-სამეურნეო მაღაზიაში, რომელთაგან 2 მდებარეობს სოფელ გიორგიწმინდის ტერიტორიაზე, ავტომაგისტრალთან ახლოს, მესამე კი მეოთხე სკოლასთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურის ტერიტორიის მიმდებარედ. მოსახლეობას შეუძლია შხამქიმიკატების, სასუქების და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა.

თინა ილაური

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი თემი კოჭგანი

დასასრული

ლეობას მისდევს, მაგრამ მათ ადგილზე დამაგრებას, მიგრაციის შეჩერებას დიდი ძალისხმევა და ხელშეწყობა სჭირდება. მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ჩვენს თემში სულ 21955 ლარის სამუშაოები უნდა შესრულდეს. აქედან კოჭბანში გაიხარჯება 6341 ლარი, ოთარაანთ კარში – 2378, სასადილოში – 5196, გორანაში – 5599, იკვლივ გორანაში – 2441 ლარი.

– თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს დღევანდელი მთის სოფელი თავიდან რომ ავიცილოთ მიგრაცია, სოფლების დაცლა.

თქვენი თემის შემადგენლობაში ბოლო წლებში იყო სამი სოფელიც – მოსაცური, ხინჭები, ბოტკო. მახსოვს ამ 4 წლის წინ მოსაცურსა და ბოტკოში თითო-თითო ოჯახი ცხოვრობდა. იმის გამო, რომ ამ ოჯახებში სასკოლო ასაკის ბავშვები იყვნენ, ოჯახები თელავში გადასახლდნენ.

– მიგრაცია ამ ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ხალხს ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ მთის სოფლებისათვის ხელის შეშველების იმედი გაუჩნდა და ფიქრობენ მიგრაციას მასიური ხასიათი აღარ ექნება. მთიელს სოფელი, თავისი მიწა ძალიან უყვარს. მართლაც რამ უნდა გახადოს ის იძულებული, რომ მშობლიური კერა მიატოვოს და სხვაგან გადასახლდეს. მეც იმედი დიდი მაქვს – ჩვენი მთავრობა მართლაც დიდ ყურადღებას გამოიჩენს ჩვენი ზონის სოფლებისადმი და აქვე მოხერხდება მოსახლეობის დასაქმება. ეს ადგილზე დაამაგრებს აქაურებს. თუ მცირე წარმოება არ ამოქმედდა, ძნელი იქნება თავის რჩენა. ჩვენს ქალებს შეუძლიათ ქსოვა, ქარგვა, რასაც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. მათი ხელით შექმნილი ზოგიერთი ნამუშევარი ხელოვნების ნიმუშამდეა აყვანილი. ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ თავად ადამიანებს მოვუსმენთ და ისე დავიწყებთ საერთო საქმეს. გაზაფხულდა. ახლა ბევრი რამაა გასაკეთებელი: მოსახნავი, დასათესი. მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებამ გამოაცოცხლა ხალხი. როგორც ვთქვით, სოფელში აუცილებელია გზების მოხრეშვა, ხიდების შეკეთება, მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის სისტემა. როცა ინფრასტრუქტურა თავის სახეს მიიღებს, მაშინ ადვილია მიგრაციის შეჩერებაზე საუბარი.

– ისე დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ მთის სალოცავები არ გაწირავს მის მოსახლეობას.

– მაგის მჯერა და მწამს. თემის სოფლებში 36 საყდარია. ერთ გადმოცემას გავიხსენებ:

საჯარო სკოლა

ბიბლიოთეკა მკითხველს ელის

სასოფლო კლუბი

აქაურმა კოტორაშვილმა კვირაცხოვლის სახელობის საყდრის დაცვისას 40 ლეკი დახოცა. ერთი კაცი რომ ამდენ მტერს მოიგერიებს და სოფელს არ ააწიოკებინებს, ეს მართლაც რომ ღვთის სიყვარულია ამ სოფლებისადმი. ჩვენს თემში არის: სასადილოში განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია, გერიწმინდა, ადგილის დედა, ღვთისმშობელი, მიქელ-გაბრიელი, ყველაწმინდა, წმინდა გიორგი, ბოტკოში – მარიამწმინდა, ადგილის დედა, გორანაში – ლომისა, დიდი საყდარი, ღვთისმშობელი, ამაღლების ეკლესია, იკვლივ გორანაში: მარიამწმინდა, გაუბარათგორი, კვირია, გამბული, ღვთისმშობელი, ადგილის დედა, პირიმზე – ფუძის ანგელოზი, კოჭბანში – 4 უსახელო საყდარი, კვირია, ჭეხილას ციხე, ოთარაანთში: გვიანი საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა. ფარავდეს მათი მადლი სრულიად საქართველოს!

– ღმერთმა გისმინოთ!

ჩაიწერა თინა ილაურმა

საბავშვო ბაღებში საფასური ახალი სასწავლო წლიდან უქმდება

მომავალი თაობისათვის

ფრაქცია "ქართული ოცნება - რესპუბლიკელების" წევრმა თინა ხიდაშელმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანულ კანონსა და „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტები პირველი მოსმენით წარადგინა.

როგორც ხიდაშელი ამბობს, კანონპროექტში რამდენიმე დებულება ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებიდან არის გადმოტანილი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ახალი სასწავლო წლიდან საბავშვო ბაღებში საფასურის გაუქმების მიუხედავად, მუნიციპალურ ბაღში ბავშვი იგივე მომსახურებას მიიღებს, რაც აქამდე აქვთ.

თანატოლების მოლოდინში

საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღი

საპარლამენტო უმცირესობის წევრი სერგო რატიანის განცხადებით, საქართველოში ბაღების რაოდენობა მხოლოდ მოთხოვნის 60 პროცენტს აკმაყოფილებს. მისივე თქმით, არ არსებობს სტრატეგია, რომელიც დანარჩენი 40 პროცენტის მომსახურების საკითხს გადაჭრის. გარდა ამისა, რატიანი საბავშვო ბაღების დაფინანსების წყაროთი დაინტერესდა.

თინათინ ხიდაშელი რატიანის შენიშვნას იზიარებს და აღნიშნავს, რომ მოქმედი საბავშვო ბაღების რაოდენობა საკმარისი არ არის. თუმცა, უმრავლესობის წევრი გამოთქვამს რწმენას, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი დრო ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად სრულიად საკმარისია. "ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ის არის, რომ ბაღების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკეტილია. 6 თვეში ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს,"- თქვა თინათინ ხიდაშელმა.

რაც შეეხება დაფინანსების საკითხს, თინათინ ხიდაშელის განცხადებით, კანონის ფუნქცია პრიორიტეტების განსაზღვრაა. მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობა სკოლამდელ აღზრდას პრიორიტეტს ანიჭებს. "კანონის აღსრულებისთვის კი ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს. თანხა ადგილობრივი, ან ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა. ყველა მუნიციპალიტეტმა აბსოლუტურად დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს უნდა მიმართოს. მუნიციპალიტეტი თუ დაასაბუთებს, რომ იმ პროექტებიდან გამომდინარე, რომელსაც ახორციელებს, მას საბავშვო ბაღისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი არ აქვს, ის შესაბამის დაფინანსებას მიიღებს. თბილისს ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსება არ დასჭირდება, მაგრამ შესაძლოა, ქუთაისს დასჭირდეს," - თქვა თინათინ ხიდაშელმა.

უმრავლესობის წევრის თქმით, საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, დაახლოებით 150 მილიონი ლარის გამოყოფა იქნება საჭირო. "გარწმუნებთ, ეს იმ ოდენობის თანხა არ არის, რომელიც შეიძლება საქართველოს ბიუჯეტისთვის პრობლემა იყოს," - ამბობს თინათინ ხიდაშელი.

მასალა აღებულია ინტერნეტიდან

საბავშვო ბაღის ფოიეში

ინიციატივა, რომელსაც მცირის უჭირს ყველა

ეს მომავალ თაობაზე ზრუნვაა

ბიორბიწმინდის საბავშვო ბაღა-ბაღის შენობის მშენებლობა 1970 წელს დაიწყო, ექსპლოატაციაში კი 1972 წლიდან შევიდა. იყო დრო, როცა აქ 100-ზე მეტი ბავშვი იზრდებოდა და ემზადებოდა სასკოლოდ. იყო პერიოდებიც, როცა დემოგრაფიული ფონის გაუარესების გამო აღსაზრდელთა მცირე რაოდენობა იყო აღმზრდელ-პედაგოგების მზრუნველობას შეფარებული.

დღეს ამ საბავშვო ბაღა-ბაღში 84 აღსაზრდელია. მათ განკარგულებაშია შენობის ორი სართული. ბაღა-ბაღში არის სამეცადინო, სათამაშო, საძინებელი და სასადილო ოთახები. აღსაზრდელთა აღზრდა-განვითარებას ემსახურებიან აღმზრდელები: თამარ როსტომაშვილი, მაია გუგუტიშვილი, თამარ კაკუტაშვილი, ოთხი აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი მზია იანვარაშვილი, ფსიქოლოგი – თინა მარიდაშვილი, ლოგოპედი – ქეთევან კოხტაშვილი, ხოლო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას თვალყურს ადევნებს მედიცინის და ნათია ბეჟიტაშვილი.

საბავშვო ბაღა-ბაღის მენეჯერია **ნაზი ჯამალაშვილი.** ქ-ნი ნაზი პროფესიით ფილოლოგია, დამთავრებული აქვს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტი. 41 წელიწადია იგი ამ საბავშვო ბაღა-ბაღს უდგას სათავეში და ყოველთვის ერთ-ერთ საჩვენებელ საბავშვო ბაღს წარმოადგენდა რაიონული მასშტაბით – აქ თაობები თაობებს ცვლიდა, თითოეულ თაობაში კი აქაური აღმზრდელები სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნასთან ერთად დიდ გულის სითბოს, სიყვარულს და ყოველივე ქართულის მიმართ მოკრძალებას და პატივისცემას ნერგავდნენ. ასეა ახლაც, წელს ისინი 21 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელს ამზადებენ. მიზანი და პასუხისმგებლობა მართლაც დიდია – სკოლაში მისულს გამომუშავებული უნდა ჰქონდეს ის უნარ-ჩვევები, რაც 5-6 წლის ასაკის ბავშვს მოეთხოვება – იყოს ყურადღებით, მობილიზებული სასწავლო პროგრამის ასათვისებლად, ჰქონდეს ნებისყოფა – მთელი გულისყურით მოისმინოს პედაგოგის მიერ ახსნილი და გადმოცემული მასალა, თავისუფლად შეძლოს თვლა, ანბარში, მაგრამ ამასთან ერთად იგი უნდა იყოს მეგობრული, შეეძლოს ამხანაგის გვერდში დგომა, მისთვის თანაგრძნობის გაწევა, აქტიურად ჩაებას სასკოლო ცხოვრებაში და იყოს იმ საზოგადოების სრულყოფილი წევრი, რომელშიც მას მოუწდება სწავლა, სასწავლო პროცესში ყოფნა.

– დღეს XXI საუკუნეა, მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება აღმზრდელს აღსაზრდელის პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში, – მეუბნება ქ-ნი ნაზი, – ამიტომაცაა, რომ ჩვენი აღმზრდელ-პედაგოგები ყოველთვიურად, სისტემატურად ცდილობენ თავიანთი ცოდნის ამაღლებას, სააღმზრდელო მეთოდის დახვეწას, ინოვაციური და ინტერაქტიული მეთოდებით სწავლება აღსაზრდელებში ავითარებს ყოველივე იმ უნარებს და ააშკარავებს იმ შესაძლებლობებს, რაც მათ მათსავე ასაკში მოეთხოვებათ. ამის აუცილებლობაც დგას, რადგან დღეს საოცრად განვითარებული ბავშვები გვყავს, მათ აინტერესებთ ყველაფერი ის, რაც სამყაროში ხდება, ის, რაც მათ ცნობისმოყვარეობის სფეროს დააკმაყოფილებს. დღეს ისინი გვაკვირვებენ თავიანთი ფანტაზიებით, დამაჯერებელი თხრობის, გადმოცემის, გარე სამყაროს აღქმის უნარით. ასეთ ბავშვს კი შესაბამისი პირობები უნდა ჰქონდეს შექმნილი – ყოველ დღეს საბავშვო ბაღში სიახლის გასაცნობად, შესასწავლად და იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა მიუხაროდეს, რაც მას აინტერესებს. მაგრამ... ამასთან ერთად საბავშვო ბაღის შენობაც ხომ ბავშვების გემოვნების „სტანდარტებშიც" უნდა ეტეოდეს და საამისოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა უკვე ზრუნავს. საბედნიეროდ, ჩვენი საბავშვო ბაგა-ბაღი სწორედ იმ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სიაში მოხვდა, საიდანაც უნდა დაწყებულიყო სერიოზული პრობლემების მოგვარება და დაიწყო კიდეც – ხელოსნებმა ახლახანს დაამთავრეს ჩვენს საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში გათბობის სისტემის გაკეთება. ეს იცით რას ნიშნავს ბაგა-ბაღის აღსაზრდელებისათვის და თავად აღმზრდელებისათვის? ეს უპირველესი ხელის შეწყობაა ნორმალური, სრულყოფილი მეცადინეობების, სრულყოფილი ძილის რეჟიმისათვის, კვებისათვის. შენობის II სართულზე ძველი კარ-ფანჯარა შეიცვალა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრით. მართალია, ყველა ოთახს, სამზარეულო ბლოკს ესაჭიროება კოსმეტიკური რემონტი, მაგრამ ესეც გაითვალისწინა მოსახლეობამ და სოფლის საკრებულოს წინაშე ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად შეიტანა „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამაში. თავად სოფლის თავკაცი გიორგი ჭიაბერაშვილი, საკრებულოს აპარატი სრულყოფილად იცნობს ჩვენი საბავშვო ბაგა-ბაღის ყველანაირ პრობლემას და გვეიმედება, რომ კვლავაც ყოველთვის მზად იქნება ჩვენი აღსაზრდელებისათვის გაუმჯობესებული პირობების შესაქმნელად.

– ქ-ნო ნაზი, ალბათ თქვენთვის კარგადაა ცნობილი ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, საქართველოს პარლამენტის წევრის თინათინ ხიდაშელის ინიციატივა საბავშვო ბაგა-ბაღებისა და საბავშვო ბაღებში იმ გადასახადის გაუქმება, რასაც მშობელი დღემდე ყოველთვიურად იხდის...

– დიახ, ამ ინიციატივას ყველა გახარებული შეხვდა. შეიძლება ზოგიერთმა მშობელმა იმ გადასახად 10 ლარზე არც ილაპარაკოს, მაგრამ არიან მშობლები, რომლებსაც დღესდღეობით უჭირთ თანხის გაღება. მათთვის ეს ძალიან დიდი შეღავათი იქნება. და მეორეც, როცა მშობელი გრძნობს, როგორ ზრუნავს მთავრობა, რაიონის ხელმძღვანელობა მისი შვილის აღზრდა-განვითარებაზე თუნდაც ბაგის ასაკიდან, მას უკვე მორალური მხარდაჭერა ეძლევა შვილის შემდგომი აღზრდისათვის. ზევითაც აღვნიშნე და გავიმეორებ, როცა ქვეყნის მთავრობა, საკანონმდებლო ორგანო, რაიონის ხელმძღვანელობა ინვესტიციას სწორად წარმართავს და უპირველეს ყოვლისა ამ ინვესტიციას ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდაში დებს, გვჯერა, რომ შედეგიც შესანიშნავი იქნება. და რაოდენ საამაყოა, როცა საკანონმდებლო ორგანოში ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ამ ინიციატივით პირველი გამოდის.

გამარჯვებებს პატარა მოკრივეები გვპირდებიან

5 მომავალი მოკრივე ხის ჩემს წინ: გიორგი, გიორგი, გიორგი, უჩა და ტატო. ჯერ წყნარად სხედან, მერე გიორგი მალასიძე ვედარ ისვენებს, ხან ერთს იწვევს საუბარში, ხან მეორეს. სხვებს მწვრთნელ ზურაბ იმნაძის მორიდება აქვთ, ჯერ ვერ თამამდებიან – თანაკლასელები არიან, კრივზე ერთად დადიან. ერთნაირად ოცნებობენ ტაისონობაზე, კლიჩკოობაზე, მუჰამედ ალობაზე, ჰოლიფილდობაზე. ნინოწმინდის საჯარო სკოლის ეს მეხუთეკლასელები ერთად მივიდნენ კრივის მასწავლებელთან ზურაბ იმნაძესთან, რაღაცით მოიხიბლნენ მასწავლებლით და მასწავლებლობიდან უკვე მწვრთნელის სტატუსით ჰყავთ ბ-ნი ზურაბი. ვარჯიშები ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლის ძველ შენობაში, სპორტდარბაზში მიმდინარეობს, სადაც ბ-ნმა ზურაბმა თავისი პირადი სპორტული ინვენტარი შეიტანა. მანამდე ბიჭები მწვრთნელის სახლში დადიოდნენ ვარჯიშებზე.

საინტერესოდ მიყვებიან თავიანთი ვარჯიშების – კრივის შესახებ. სჯერათ, რომ თავსაც დაიცავენ ავის მდომისგან, მომხდურისგან და სხვასაც დაიცავენ. ძალიან ვაჟკაცურ საქმედ მიაჩნიათ კრივში ვარჯიში და ილეთების შესწავლა. გიორგი მალასიძეს თურმე ბოქსიორობა ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან (სულ 11 წლისაა) უნდოდა. დიდი სურვილი აქვს ცნობილი ბოქსიორი გამოვიდეს. მთელი მსოფლიო ტრიუმფალური სვლით მოიაროს, გამარჯვებებიც მოიპოვოს და იცნობდნენ ყველგან, ყველა ქვეყანაში, როგორც კარგ მოკრივეს. 7 ბრძოლა აქვს გიორგის მოგებული.

გიორგი ამირანაშვილი

გიორგი ივანიაშვილი

გიორგი მალასიძე

ტატო შიოშვილი

ტატო შიოშვილს 6 ბრძოლიდან ექვსივე აქვს მოგებული. ტატო თავდაპირველად ფეხბურთზე დადიოდა, შემდეგ დაინტერესდა კრივით.

გიორგი ამირანაშვილს ორი ბრძოლიდან ორივე აქვს მოგებული.

გიორგი ივანიაშვილს და უჩა გრძელაშვილს – ხუთიდან ხუთივე. გიორგი ივანიაშვილი თურმე ცაციაა. ბიჭები იცინიან, – შიშის ზარსა სცემსო თავის მეტოქეს, საიდანაც არ ელის თავდასხმას, გიორგიც სწორედ იქიდან ურტყამსო. ბიჭები ახლა მომავალი რინგისათვის ემზადებიან – შემართებით, გამარჯვების წყურვილით.

როგორც მათმა მწვრთნელმა ზურაბ იმნაძემ დაახასიათა ისინი, ხუთივე კარგი მებრძოლი, კარგი მოკრივე, ნახევრადცელქები არიან, მაგრამ გიორგი მალასიძეზე თავი ვედარ შეიკავა და თქვა: ძალიან ნიჭიერი, მონდომებული, მაგრამ ძალიან ცელქიაო, თუმცა მწვრთნელის შეფასებას მეც ვეთანხმები – გიორგიმ ყველაზე კარგად მიჩვენა კრივის ტექნიკა, თავის, კორპუსის დაცვა, სისწრაფე და მოუსვენრობა.

დამშვიდობებისას დამაიმედეს, ორთაჭალაში გამართულ რინგზეც ჩვენ ვიქნებით გამარჯვებული, ჩვენ თბილისელები, გურჯაანელები, ყვარელელები ისე დავამარცხეთ, თვალიც არ დაგვიხამხამებიაო.

წარმატებები, ბიჭებო, გამარჯვებები!

თინა ილაური

უჩა გრძელაშვილი

ჩვენი ვოდევილი

გაზაფხულდა. ამ დროს რედაქციაში ყველაზე დიდი გამოცოცხლებაა – მოდიან ადამიანები, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი. მოდიან ლექსებით, ჩანახატებით, ნარკვევებით, ზოგჯერ ისტორიული რომანებით. ჩამოსხდებიან, ბიმზერენ თვალებში, ბიკითხავენ თავიანთ შემოქმედებას და არც გეკითხებიან, მოგწონს თუ არ მოგწონს, უნდა დამიბეჭდოთო და როგორც თოთო ბავშვებს გიტოვებენ – იმედით, რომ გაზეთის ფურცლებზე იხილავენ... ახლაც ასეა. მათ ლექსებს თქვენც გთავაზობთ, ძვირფასო მკითხველო, მოგვწერეთ თქვენი აზრი, შეაფასეთ მათი ლექსები...

* * *

ხომ აგვისრულდა ოცნება,
რა ახლოს არის მიზანი.
ვინც საქართველოს უშველის
ხალხის რჩეულიც ის არი.
მან ქვეყნის სადავეები
უნდა აიღოს ხელშია,
ხალხი დასაქმდეს, ქვეყანა
რო გაიმართოს წელშია.
წამოიმართოს ქვეყანა,
მტერს დაუბრმავოთ თვალები,
ჩვენი გვქონდეს და არასდროს
არ გვქონდეს სხვისი ვალები.
ქვეყანის მმართველობაში
რომ იყოს სწორი ხაზია.
გახადეთ ხელმისაწვდომი,
წყალი, დენი და გაზია.
მაშინ ხომ ხალხი სიკეთეს
აუცილებლად მიხვდება,
ჩვენი ტყეები, ბუნება
ხელშეუხები იქნება.
ზოგიერთები ქვეყნისას
ისევ არევას ცდილობენ.
თუ რა მოჰყვება ამ ამბავს
იმას აღარა ფიქრობენ.
ახალი ხელისუფლება
ჭკვიანი კაცის ხელშია.
მარტო ის ვერას გახდება
უნდა დაუდგეთ გვერდშია.

დავით თოლომაშვილი

დედის სადღეგრძელო

ადამიანს სევდა ასე დაებედა
აკვანშივე ხვდება, რომ იმას ჰყავს დედა.
როცა მეტყველდება დედაენაზედა
ყველა სიტყვაზედა ადრე ამბობს – დედა.
რომ წამოიზრდება და დავაჟკაცდება
დედის სიყვარული უფრო ძლიერდება,
უდედოდ გაძლება მუდამ უძნელდება
და სიკვდილის ჟამსაც „დედა“
აღმოხდება.
დედის ამაგზედა ყველა ვალში რჩება,
ამის დავიწყება არ გვეპატიება.
თუმცა ეს ამაგი სულ არ იკარგება
და თავის შვილებზე ანაზღაურდება.
მაშ ვინც ჩვენთვის თეთრად ღამეს
ათენებდა,
ვინც ტკბილ „იავნანას“ ტკბილად
გვიმღერებდა,
და ვინც გამოგვზარდა ადამიანებად,
მის არ დავიწყებას – გაუმარჯოს დედას!

ანზორ ორკოშნელი,
სოფ ნინოწმინდა,
82 წლის

დათოვლილი ტიტები

ვუძღვნი დედის ხსოვნას

ნუშო რეხვიაშვილს

წუთით, წუთი სოფლის ჟამი განსაზღვრული, დათმენა იობის, სამსჭვალი ჯვარცმულის;
ჩამქრალ მნათობივით ძლივსდა ბჟუტავს სული ყრუ, სოფლის სიმრუდით ვარ გულგაბასრული;
ღირსია შენდობის? ვინც დაკარგა რჯული, რა მძიმე ცოდვებით დადის ის ურჩხული;
ქვეყნის სივაგლახეს წმინდა ხატთან ვამხელ, ჩუმად ხმის ჩურჩულით
მწარედ მახსენდება ის დღე დათარსული, ძალით დაგიყენეს ძალით აღსასრული.
ვერ გშველოდი დედა, ვწუხდი მარტოსული,
სახლიც წამართვეს და ვარ მთლად გაძარცვული.
მეტყვი არ შეშინდე, გაიმაგრე გული, რაღა დამამშვიდებს და ჯოჯოხეთური
რუხი ფერის ბინდით მახსოვს ის წარსული,
დრო რა სწრაფად მიდის, დროა სულ წასული.
ფიქრი ფიქრებს მისდევს, გარდას გადასული, მაკარგვინებს რითმებს, მარტი თავგასული,
არეულ ამინდებს მიბედებს მაცდური, დაათოვა ტიტებს უღმრთოობაა სრული.
ნარცისი მამშვიდებს და უფლის ასული...
დაბრუნდება ნეტა ძველი სიხარული...
ისე მენატრება უსასრულო ზეცა, ისე მენატრება მზე და სიყვარული,
მაგრამ თქმას ვერ ვბედავ და მკლავს სინანული.
ღმერთო მწედ ხარ ჩემდა, ზღვრამდე ვარ მისული, მედირსება ნეტა ზამბახების სუნი,
ჩემი ყოჩივარდა თეთრი ამორძალი, რასაც მეუბნება, ეს ხომ ლოცვა არი.
დაბრუნდება დედა სამოთხის მზესავით, დაბრუნდება მამა სავსე მთვარესავით.
„და“, ცისკრის ვარსკვლავი, როგორ ვერ ვიცანი, დაბრუნდება ალბათ ჩემი ტყუპისცალი.
ყველაფერი ხდება თურმე ზეცის ძალით, სასწაული დიდი, როგორც ნატვრისთვალი.
აყვავილდა შინდი ყინვით დაზაფრული, კდემითა და რიდით მოდის გაზაფხული.

დარეჯან ჯელაძე,
სოფ. ნინოწმინდა

დედა

ღამეა,
სული დაიპყრო სევდამ.
პირველი ლექსი მასწავლა დედამ,
ყველა ოთახში, ყველა კედელთან
ყველა კუთხეში მის აჩრდილს ვხედავ.
წლები მირბის და ოცნებას ვბედავ
თუმცა ოცნება რას შესცვლის, დედა.
ფიქრში და დარდში ილევა დღენი
მე გული მწყდება, შენ არ ხარ ჩვენთან.
ღამეა,
სული დაიპყრო სევდამ.
პირველი ლექსი მასწავლა დედამ.
ღამეა
თვალებს ნაბავს ცრემლები,
მე მონატრებას ჩუმად ვნებდები.
ძლიერ მიყვარხარ ძვირფასო დედა.

* * *

მრავალტანჯულო, უნეტარესო,
სულზე უტკბესო, დედა
მე გული მტკივა თუ შენს თვალებში
ნაცრისფერ სევდას ვხედავ.
ჩემთვის ყოველთვის უძვირფასესი
ხარ და იქნები, მჯერა.
იცოდე ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ,
ჩემო ძვირფასო დედა.
ამ ქვეყანაში, ამ სამყაროში
რა შეედრება ნეტავ?
შენს იავნანს, სულზე უტკბილეს
შენს ალერსიან მზერას.
მე მიხარია, როცა ბედნიერს და
გაღიმებულს გხედავ.
ჩემი ფიქრი და ჩემი ოცნება
შენსკენ მოილტვის, დედა.

ლია გრძელიშვილი,
პატარა ჩაილური

საუკუნის მშენებლობა, რომელსაც გარეკახეთი წალკოტად უნდა ექცია

ამიღებული სასოფლო-სამეურნეო გარათებით მიწების დამუშავებამ საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მიწის დამუშავების პრობლემა მოუხსნა, მაგრამ ბლეხი ახლა იმაზე ფიქრობს, თუ საირიგაციო სისტემა არ იქნა წესრიგში მოყვანილი, მაშინ მოწეული მოსავლის არც რაოდენობაზე შეიძლება საუბარი და არც ხარისხზე. ეს გაითვალისწინა საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ და საირიგაციო სისტემის მოწესრიგებასაც მთელი კახეთის მასშტაბით შეუდგა – შესწავლილი იქნა მთლიანი სისტემა. ახლა მიმდინარეობს სარწყავი არხების გაწმენდა-გასუფთავება, რამაც სხვადასხვა პრობლემებიც გამოიწვია. ზოგიერთ ადგილზე არხის ნაწილი მთლიანად აღმოჩნდა მიწისაგან გადავსებული, ზოგან დაზიანებებია. როგორც საქმემ მოითხოვა, ადგილ-ადგილ მძიმე ტექნიკის გამოყენების საჭიროებაც შეიქმნა... მაგრამ მთავრობის მიერ დასახული გეგმა უნდა განხორციელდეს – გლეხმა სარწყავი წყალი დროულად და საკმარისი რაოდენობით უნდა მიიღოს.

დღეს ათეული წლებით გადავინაცვლოთ და გავიხსენოთ, როგორ შენდებოდა ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომელსაც დღეს ჩვენი მელიორატორები ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დახმარებით წმენდენ, რწყვის სეზონისათვის ამზადებენ.

ქართველი კაცის საუკუნოვანი ოცნება იყო გარეკახეთის ვრცელი და ნაყოფიერი მიწები ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა და წალკოტად ექცია. საუკუნეების მანძილზე მდინარე იორი ბორბალოს მთებიდან მომდინარე ზვიადად კვეთდა კავკასიის მთაგორიან ტყითშემოსილ ჭიუხებს და უჯარმის შემდეგ მშვიდად მოედინებოდა თვალუწვდენელ ზეგანზე.

იყო დრო, როდესაც წყალბედნიერი მდინარის ტალღები სარწყავი ქსელის არხებით, ბაღ-ვენახებსა და პურის ყანების ხოდაბუნებს რწყავდა, ხოლო ქართველების მარნებსა და ბეღლებს პურღვინოთი ავსებდა. ეს იყო XII-XIII საუკუნეებში, როცა საქართველო მზე-თამარის ოქროს ხანაში ცხოვრობდა და მთელ მახლობელ აღმოსავლეთში ბრწყინვალე და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

საფუძვლიანად მოისპო და ნაომარ ველად იქცა მტკვრისა და იორის წყლით ბაღნარად ქცეული აყვავებული მხარე. ამის შემდეგ ქართველმა ერმა მრავალჯერ სცადა ოდესღაც ბაღნარად ქცეული მიწის კვლავ აღორძინება და კვლავ ხალხის სამსახურში ჩაყენება, მაგრამ ამ მიზნისა და ოცნების საშუალებას არ იძლეოდა ის პერმანენტული ომები და თვით საქართველოს შიგნით მოუწესრიგებელი პოლიტიკური შუღლი და ურთიერთმტრობა. ქართველი გლეხი კი ოცნებობდა სამგორგარეჯის ნაყოფიერი მიწის ხორბლისა და ღვინის მწარმოებელ კერად ქცევაზე. ამ ქართულ ოცნებას ფრთები შეესხა და რეალობად იქცა გასული XX საუკუნის 40-60-იან წლებში.

დამთავრდა თუ არა დიდი სამამულო ომი, ჩვენი ქვეყანა დაჩქარებული ტემპით შეუდგა ომით მიყენებული ნგრევა-ზარალის აღდგენა-აღორძინების საქმეს. ქართველი ხალხიც მოელოდა საუკუნოვანი ქართული ოცნების სინამდვილედ ქცევას. გარეჯა-სამგორის ნასვენი და ქართველი მამულიშვილების სისხლით გაჯერებული მსუყე და ნაყოფიერი მიწები ქართველი ხალხის აღორძინების საქმეში ჩააყენეს. ამას ისახავდა მიზნად ასევე საბჭოთა ხალხის ლიდერი იოსებ სტალინი და გასული საუკუნის 40-იანი წლებიდანვე დაიწყო კიდეც მრავალსაუკუნოვანი ოცნების ხორცის შესხმა. მე, როგორც ახალი ცხოვრების გზაზე გამოსულ ჭაბუკს, კარგად მახსოვს როგორი ენთუზიაზმით შეუდგა ქართველი ხალხი სამგორის უდაბური და ნაყოფიერი ველის ათვისებას. ზოგ ურწმუნო ადამიანს არ სჯეროდა, თუ ამ უწყლო და დაუსახლებელ ველს გაასარწყავებდნენ, იქ ქალაქები და სოფლები აშენდებოდა. მაშინ პატარძეულის საშუალო სკოლას ვამთავრებდი და გული მერჩოდა. მეც ჩართული ვიყავი ამ დიდ ეროვნულ მამულიშვილურ საქმიანობაში. გასაოცარი ისიც იყო, რომ ოდესღაც აყვავებული ნაქალაქარი რუსთავი ქართული მეტალურგიის ცენტრი უნდა გამხდარიყო.

დავამთავრე თუ არა პატარძეულის საშუალო სკოლის XI კლასი 1948 წლის აგვისტოდან მეც განცხადებით მივმართე კომკავშირის რაიკომის I მდივანს შ. როსტომაშვილს, და მოვითხოვე გავეგზავნე ზემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობაზე, რომლის სამმართველო შტაბი სოფელ უჯარმაში იყო განთავსებული. სამშენებლო სამმართველოს უფროსმა მე და ჩემს მეგობრებს ახალგაზრდული გეგმები მოგვიწონა და მშენებელთა კომკავშირულ ბრიგადაში ჩაგვრიცხა. გვიხაროდა, რომ მთელი სამგორი თბილისიდან და რუსთავიდან დაწყებული მთელი გარეკახეთი, რომლის დიდ ნაწილს მაშინ თითქმის 80% საგარეჯოს რაიონის ტერიტორიას ეკავა ქართულ საგანძურად უნდა ქცეულიყო და ძალიან მალე, სულ რაღაც 10 წელიწადში იქცა კიდეც აყვავებულ ველად. თბილისის აღმოსავლეთით რუსთავიდან მოკიდებული უჯარამადე კომპლექსურად მიმდინარეობდა დიდი მასშტაბის სამუშაოები. მთელი საგარეჯოს რაიონი ერთიან გრანდიოზულ სამშენებლო პოლიგონად იქცა. მაშინ სართიჭალა, ახალსოფელი, საცხენისი, ვაზიანი საგარეჯოს ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და ყველგან დიდი სამუშაოები იყო გაჩაღებული. მუშახელი რომ არ ყოფნიდათ სხვა რაიონებიდანაც კი მოჰყავდათ მობილიზაციით მუშა-ხელი. ყველას საოცნებო გეგმაში იყო სიონის წყალსაგუბარი, რომელსაც უნდა შეეგუბებინა მდინარე იორის წყალი და აქედან პალდოს გვირაბით წყალი უნდა მიეწოდებინა თბილისის ზღვისთვის, აქედან კი არხების საშუალებით უნდა მორწყულიყო 40000-მდე ჰა სამგორის ნაყოფიერი მიწა. სიონის საგუბარს 325 მილიონი მ3 წყალი უნდა შეეგუბებინა და აქედან ივრის კალაპოტით პალდოსთან ჯებირით შეკავებული წყალი პალდოს გვირაბით საცხენისამდე უნდა მიეყვანა. ივრის წყალი და იქიდან კი თბილისის ზღვამდე. მე და რეზო ინანიშვილსაც მოგვიწია მშენებლობის მიტოვება. 1949 წელს მე სწავლის გასაგრძელებლად თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირიცხე, მაგრამ პრესის საშუალებით სისტემატურად ვადევნებდი თვალს იმ გრანდიოზულ სამშენებლო სამუშაოებს, რომლის რეალიზაციაც სულსა და გულს გვიხალისებდა. 1951 წლის 4 ნოემბერს თანამონაწილე გავხდი იმ დიდი სიხარულისა, რაც გამოიწვია მდინარე იორის წყლის ტალღებით თბილისის ზღვის გამოგვალული ფსკერის შევსებამ.ეს იყო მთელი ქართველი ხალხის დიდი ზეიმი.

1953 წლის 5 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა იოსებ სტალინი და დაღმავალი ხაზით დაექანა ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღორძინების გზები. შეჩერდა ქვემო სამგორის მეორე რიგის საირიგაციო სამუშაოები,რომელსაც მხოლოდ 60-იანი წლებიდან შეუდგნენ ქართველი მშენებლები.

1961 წლის 21 თებერვალი ერთგვან წყალგამყოფ წლად ითვლებოდა საქართველოს ისტორიაში. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში პოსტსაჭოთა სივრცეში ჩამცხრალი იყო ი. სტალინის პიროვნების კულტის ხრუსჩოვისეული პოლიტიკა და ქართველი ხალხის მიერ თითქოს მივიწყებული იყო ის დიდი სისხლიანი ტერორი, რაც საბჭოთა დამსჯელმა ჯარებმა ჩაიდინეს ქართველი ხალხის მიმართ. 1956 წლის მარტში საბჭოთა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა გაბედა და შემოვიდა საქართველოში, მან თბილისში სიმინდის პროპაგანდის თვალსაზრისით. ჩატარებული ე.წ. ხელმძღვანელი მუშაკების თათბირის შემდეგ მოისურვა საგარეჯოს რაიონში მოგზაურობა და სიმინდის პროპაგანდის ჩატარება გარე-კახელ მესიმინდეებთან. პირველი, რა კითხვაც დაუსვა ნიკიტა ხრუშჩოვმა გივი დუჩიძეს იყო – თუ ჰექტარზე რამდენ ცენტნერ სიმინდს იღებდნენ საგარეჯოელი მესიმინდეები, გივი დუჩიძემ უპასუხა რომ, 27 ცენტნერს ჰექტარზე, მაგრამ თუ სარწყავი წყალი გვექნება, 100 ცენტნერსაც მივიღებთო, ამიტომ გთხოვთ, დაგვეხმაროთ მდინარე ივრიდან სარწყავი არხი გამოგვიყვანოთო. ამ შეხვედრამ დიდი ისტორიული საქმე გააკეთა და ნიკიტა ხრუშჩოვისგან შეპირება მიიღო, რომ დაიწყებოდა მდინარე ივრიდან ქვემო სამგორის სარწყავი საირიგაციო ქსელის მშენებლობა. ჩვენდა სასიხარულოდ, ნიკიტა ხრუშჩოვის პირობა ლიტონი სიტყვები არ გამოდგა და ძალიან მალე დაიწყო კიდეც ამ დიდი საირიგაციო ნაგებობის მშენებლობა,რომლის აქტიური მონაწილე ამ სტრიქონების ავტორი მეც გავხდი.

ალ. ელერდაშვილი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მართლმადიდებლობა

გიხაროდენ, ღირსო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო

2012 წლის 20 დეკემბერი უმნიშვნელოვანესი თარიღია ჩვენი ერის ცხოვრებაში – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით წმინდანად შეირაცხა არქიმანდრიტი გაბრიელი (ურბებაძე) და მას ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსი ეწოდა, ხოლო მისი ხსენების დღედ გარდაცვალების – 2 ნოემბერი დაწესდა.

„დაუჯდომელი საბალობელი ღირსისა მამისა ჩვენისა გაბრიელისა აღმსარებლისა და სალოსისა“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეადგინა და გამოსცა თბილისის მოცუქულთა თავთა – პეტრესა და პავლეს ტაძრის წინამძღვარმა მიტროსანმა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა. ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ფრაგმენტს:

კონდაკი

ჭირთა და ძვირთა მრავალთა დამთრგუნველო, ღირსო გაბრიელ, სიყრმითგან ალტობდეს სარეცელსა შენსა ნაკადულნი ცრემლთანი, ვინაიდგან ცხოვრებაიო შენი, ტანჯულისაი, ჯოჯოხეთსა მიეახლა და უკანასკნელ, ოდეს უფალმა აღმოგიყვანა უფსკრულთაგან ქვეყანისა, და შეიმოსე საღმრთოითა ძლიერებითა, ამისთვისაც გიგალობ შენ: ალილუია.

იკოსი

კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ასწავა ხელთა შენთა ღუაწლი თითთა შენთა ბრძოლაი, ნეტარო გაბრიელ, რამეთუ ოდეს ვსცოდეთ წინაშე ღმრთისა და არა ვისმინეთ ხმისა მისისა, ვითარცა – იგი მამათა ჩუენთა და ვიყვენით ძილსა შინა სირცხვილეულნი, გამოხუედ ქადაგებად: „ქუეყანაო, ქუეყანაო, ისმინე სიტყუაი უფლისაი!“ ამისთვისცა სიტყუაი უფლისაი საყუედრელ და საგიობელ იქმნა შენდა მომართ უსჯულოთა მიერ, ხოლო ჩუენ გადიდებთ შენ:

გიხაროდენ, რამეთუ ფშვინვენ სულნელებასა ქადაგებანი შენნი;

გიხაროდენ, განმაძღარო სიმწრითა და ნადვლითა მთრვალო;

გიხაროდენ მჭამელო ნაცრისა და მშვიდობასა განყენებულო;

გიხაროდენ, უღმრთოისა ბელადისა ხატისა ცეცხლსა შთამგდებელო;

გიხაროდენ, რამეთუ განიზრახეს უღმრთოთა მიღებაი სულისა შენისაი;

გიხაროდენ, საღმრთოითა ჭეშმარიტებითა მტერთა მომსვრელო;

გიხაროდენ, ჟამსა განსაცდელთასა სულისა მარხვითა დამფარველო;

გიხაროდენ, ჟამსა იწროებისასა დიდად შუენიერისა უფლისაისა მგალობელო;

გიხაროდენ, საღმრთოთა და ღმრთისსათნოთა მათ საერთოთა მათ საეროთა საქმეთაგან გამოჩინებულო;

გიხაროდენ, ცოდვილთა შემმუშავებელო და მართალთა რქათა აღმამაღლებელო;

გიხაროდენ, ღირსო გაბრიელ აღმსარებელო და სალოსო.

ჩვენს ხელისმომწერებს ამ ნომერთან ერთად საჩუქრად გადაეცემათ ბერი გაბრიელის ხატი – გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვრის მღვდელი მამა გიორგისაგან (პავლოვი).

ფარავდეს საქართველოს და თქვენს ოჯახებს ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი და სალოსი

„ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია“

დათო ამბარდნიშვილი

„შენი სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავდა, მეხის გავარდნას ჰგავდა სიკვდილი“. ვინ წარმოიდგენდა შენს სიკვდილს, შვილო დათო!

შვილმკვდარ დედას განსაკუთრებული დღე რად უნდა მის გასახსენებლად, დედის სიცოცხლე ხომ შვილის ხსოვნას ეძღვნება. 5 აპრილის საღამოს გახვედი სახლიდან და 6 აპრილის დილას შენი ფეხით აღარ მოხვედი. როგორ არ მოვკვდი მე იმ მომენტში, როცა შენ ასეთი დაგინახე? როგორ ვცოცხლობ ეს 6 წელი არ ვიცი. 2 თვის შემდეგ მამაც შენს კვალს დაადგა. შენმა დარდმა მოკლა, შვილო.

ნეტავ გაიგე მაინც, როგორ იდარდა და რატომ გამოგყვა უკან. მე რაღა დამემართა? შენც კარგად იცი, ალბათ შენი ირაკლის გამო – 5 წლის დამიტოვე. რა ვქნა უფლება არ მაქვს შენთან წამოსვლის, სანამ დედა არ ჩაიბარებს და მერე კი ნამდვილად მეც თქვენთან მინდა და კიდევ შენი ძმა მაჩერებს, რომელიც მთლად გულშემატკივრების გარეშე რჩება – დედა, შენ თუ აღარ იქნები, სოფელში აღარ ჩამოვალო. რა ვქნა? ალბათ ფიქრობ, დედა სად არისო, ამდენი ხანიო.

შვილო დათკა, შენს სულ ჩემს გულში ხარ, შენ არავის ავიწყდები, შენ სახელს დავიწყება არ უწერია. მარტო შენს ნათესავებს კი არა, შენს ყველა ნაცნობ-მეგობრებს არ დაავიწყდები. შენი მეგობრები, ბიჭები, გოგონები, ჯარის ამხანაგები შენს საფლავს არ ტოვებენ. რამდენიმე დღის წინ შენი მამიდაშვილი ხათუნა და ნატო შენს საფლავზე წასულან და დაუსუფთავებიათ. სანთელს არ გაკლებს არავინ.

6 აპრილს 6 წელი გავა. სულ 31 წელი იცოცხლე. სიცოცხლით გაუმაძღარი წახვედი, შვილო. იმ ღამეს წითელი პარასკევი თენდებოდა, როცა ღმერთმა შენ თავისთან წაგიყვანა.

მამა გიორგიმ მითხრა, ნუ ტირი, შენი შვილი პირდაპირ ღმერთთან არის ეხლაო.

ღმერთო დიდებულო, ნათელში ამყოფე ჩემი დათო და დაუმკვიდრე წმინდა სასუფეველი. ჩვენ კი ყველა, შენი ძმა, მისი შვილები, შენი მეგობრები, მოვალთ შენს საფლავთან და სანთლებს აგინთებთ, ვილოცებთ შენთვის, ჩემო გაუხარელო შვილო.

შენი დედა, ძმა, ძმის შვილები და შენი მეგობრები.

საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ბაღის მენეჯერს თამარ ლაფერიშვილსა და მის მეუღლეს პაატა ელერდაშვილს მამამთილისა და მამის

გივი ელერდაშვილის

გარდაცვალების გამო

„მრგვალი მაგიდა“ — მონიტორინგის შედეგების განხილვა

საამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოების კახეთის რეგიონალურმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კახეთის რეგიონალურმა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ „მრგვალ მაგიდაზე“ საგარეჯოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები მოიწვიეს. მათი მთავარი მიზანი საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდის მომენტების გაცნობა იყო საზოგადოებისათვის. როგორც მათ აღნიშნეს, თბილისში გამართულ „მრგვალ მაგიდას“, რომელზედაც იგივე საკითხებზე იყო მსჯელობა, თავად საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ – ასეთი შეხვედრები მართლაც გაამართლებს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, აღნიშნა საუბარში ***სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოების კახეთის რეგიონალურმა კოორდინატორმა ნანა დევიძემ. მან და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეგიონალურმა კოორდინატორმა <u>მარეხ მგალობლიშვილმა</u>*** მრგვალი მაგიდის მონაწილეებს ვრცელი ინფორმაცია მიაწოდათ საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდის მომენტებზე მონიტორინგის შედეგების შესახებ და უპასუხეს შეხვედრის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

ძიუდო

ბავშვთა ოლიმპიადისაკენ

სიმონ მამარდაშვილი საგარეჯოს III საჯარო სკოლის მეათეკლასელია. 6 წელია ვარჯიშობს ძიუდოში. სპორტის ამ სახეობას თავის დროზე მამამისიც მისდევდა. უფროს ძმას, ზაურისაც მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს. მის სპორტულ მონაცემებზე დიდ იმედებს ამყარებენ მწვრთნელები, თუმცა არც ნაკლებ წარმატებებზე პროგნოზირებენ მისი მწვრთნელები – მამუკა მათიაშვილი და ნუკრი გაგნიაშვილი. ამის საფუძველს სიმონის წარმატებებიც იძლევა – მარტის დასაწყისში სიმონი ანტალიაში გამართულ ევროპის თასზე (1996-1997 წლებში დაბადებულები) იღებდა მონაწილეობას, სადაც II ადგილი დაიკავა 66 კგ წონით კატეგორიაში. მალე სიმონის ევროპის თასზე კიევში მოუწევს მონაწილეობის მიღება,

შემდეგ იქნება ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიო ჩემპიონატი და, როგორც გაგვიმხილა, ბავშვთა ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებაზე ოცნებობს.

ახლა სიმონი კიევის გამარჯვებისათვის ემზადება, წარმატებები ვუსურვოთ ნორჩ ძიუდოისტს.

ვილოცავთ

დაბადების დღეს ვულოცავთ შესანიშნავ ქართველ ქალს, დედას, მეუღლეს, გულისხმიერ ხელმძღვანელს, უღალატო, ერთგულ მეგობარს, მუდამ მომავალი თაობის აღზრდა-განვითარების საუკეთესო გზების ძიებაში მყოფ, გიორგიწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერს **<u>ნაზი ჯამალაშვილს.</u>**

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად და კვლავაც ჩვეული შემართებით, სიყვარულით, თქვენეული სითბოთი გემუშაოთ გიორგიწმინელი თაობების გაზრდა-დაფრთიანებაში.

სიყვარულით და პატივისცემით:

გიორგიწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები;
ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლები

ნორჩი მოჭადრაკეების მორიგი გამარჯვება

ნაყოფიერად მუშაობენ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ჭადრაკის სექციები (მწვრთნელები – ელენე ფარეშიშვილი, ირაკლი ქვლივიძე, თენგიზ კობიაშვილი). სექციებში გაერთიანებული ნორჩი მოჭადრაკეები წარმატებით გამოდიან საქართველოს პირველობების ფინალებში, პირველ ლიგაში და სხვადასხვა სახის საერთაორისო, რეგიონალური, რესპუბლიკური მასშტაბის პირობებში, გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკეების მემორიალებში და სხვა. ასე იყო ამ დღეებშიც (15-24 მარტი) თბილისში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში გამართულ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში (10 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის) მოასპარეზე საგარეჯოელმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა კვლავ გვასახელეს.

10 წლამდე ასაკის გოგონებში ეთერ ხეგბრელაშვილმა (მწვრთნელი თენგიზ კობიაშვილი) 9 შესაძლებლობიდან 6 ქულით 21 მონაწილეს შორის IV საპატიო ადგილი დაიკავა, რითაც მოიპოვა საქართველოს პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება. ასევე წარმატებით გამოვიდა ლალი გარსიაშვილი (9-დან 5,5 ქულით) დაიკავა V ადგილი და მანაც მოიპოვა საქართველოს პირველობის ფინალის საგზური (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი).

ასევე წარმატებით გამოვიდნენ 2013 წლის ჩემპიონატში 10 წლამდე ასაკის ბიჭებს შორის (I ლიგა) ნიკა კევლიშვილი (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე), რომელმაც 44 მონაწილეს შორის დაიკავა საპრიზო III ადგილი (9-დან 6,5 ქულით), 9-დან 6 ქულით მეშვიდე იყო გიორგი იმნაძე (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი). ამ ასაკში წარმატებით გამოვიდა 8 წლის ლევან დალბაშვილი, რომელსაც 9-დან 5 ქულით 8 სხვა მონაწილესთან ერთად გაიყო XIII-XX ადგილი.

ასევე წარმატებით გამოვიდა ლუკა გურჯიძე (მწვრთნელები: თენგიზ კობიაშვილი და ელენე ფარეშიშვილი), რომელსაც ნახევარი ქულა დააკლდა საქართველოს პირველობის ფინალის საგზურის მოპოვებისათვის. იმედია ამ საგზურს მოიპოვებს კახეთის პირველობაზე.

საგარეჯოში ანგელოზების გამოჩენა პირველი შემთხვევა არ ყოფილა

ყველა ინტერესით ადევნებს თვალს გიორგიწმინდის ჩრდილო-აღმოსავლეთით ღამე გამოჩენილ ანგელოზებს. როგორც მოსახლეობის საუბრიდან ირკვევა, ეს შემთხვევა საგარეჯოში პირველი არ ყოფილა და ანგელოზები აქ სხვა დროსაც უნახავთ. აი, რა ცნობა მოგვაწოდა ამის შესახებ მანავის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელმა მანანა დაბახიშვილმა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაზეთ „ივრის განთიადისათვის“ სტატიის მოსამზადებლად იგი შეხვედრია მანავში მცხოვრებ მოხუც ქალბატონს ოლია ბორაშვილს, რომელსაც სხვა საკითხებზე საუბრისას ერთი ასეთი ამბავიც მოუყოლია: იგი 7-8 წლის ყოფილა, როცა საგარეჯოელი მშობლების თანხლებით წასულა სალოცავად და სანთლის დასანთებად თვალწმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. აქ იგი მშობლებს ჩამორჩენია, ქვის კიბეებზე ასვლისას ფეხი დასცდენია, მუხლი ქვის საფეხურზე დაურტყამს და გონი წასვლია. ამ მდგომარეობიდან იგი რაღაც უხილავ ძალას გამოუყვანია. როცა თვალი აუხელია, დაუნახავს თეთრით მოსილი ანგელოზი, რომელსაც იგი ხელში აუყვანია და საყდრის კართან დაუსვამს. ამ ხილვის შესახებ ქ. მანანას საგაზეთო წერილი მოუმზადებია, მაგრამ რადგან იმ დროს ჯერ კიდევ იყო ფესვგადგმული კომუნისტური იდეალები, გაზეთის მაშინდელ რედაქტორს ვერ გაუბედავს მისი დაბეჭდვა, ახლა კი მან უცებ აღიდგინა ამ 30 წლის წინანდელი ამბავი. მისივე გადმოცემით საგარეჯოში ანგელოზების ხილვიდან 3-4 დღის შემდეგ მანაველებს ანგელოზები ამ სოფლის ციხის ტერიტორიაზეც უნახავთ. ისე, რომ როგორც ირკვევა, საგარეჯოში ანგელოზების გამოჩენა არც პირველი და იმედი ვიქონიოთ არც უკანასკნელი არ იქნება. ისინი მართლაც რაღაცას გვანიშნებენ...

გ. დაბახიშვილი

შანსი გეძლევათ გაუწიოთ დახმარება

საქართველოს საპატიო მოქალაქის, კულტურის დამსახურებული მუშაკის, მწერლისა და დამსახურებული ჟურნალისტის, რამდენიმე წიგნის ავტორის, საგარეჯოელი **<u>ალექსანდრე ელერდაშვილის</u>** წარდგენა ჩვენი გაზეთის მკითხველს არ სჭირდება, – მას კარგად იცნობს ყველა. ბ-ნი ალექსანდრე 85 წლისაა, მიუხედავად ასაკისა არასოდეს ღალატობს მეხსიერება და ყველა ისტორიულ მოვლენას, ფაქტს, თარიღს საუბარში შეუცდომლად ახახელებს. ის მართლაც ცოცხალი მატიანეა არა მარტო ჩვენი რაიონისა.

დღეს ბ-ნი ალექსანდრე უკიდურეს ეკონომიურ გასაჭირს განიცდის. დიდმარხვის დღეებია, მართლმადიდებელ ქრისტიანს მარხვა, ლოცვა და მოწყალების გაღება გვმართებს. გეძლევათ შანსი, გაიღოთ მოწყალება და ჩვენსავე თანამოქალაქეს დახმარება გაუწიოთ – ფინანსურად და კვების პროდუქტებით.

მისამართი: ქ. საგარეჯო. ქ. წამებულის ქუჩა №9

მადლობა

სოფელ კაკაბეთში მცხოვრები <u>ამირან ოქრუაშვილი</u> მადლობას ვუხდი „ქართული ოცნების“ ყველა წევრს, მის ლიდერს <u>ბიძინა ივანიშვილს</u> და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს, საქართველოს პარლამენტის წევრს <u>თინათინ ხიდაშელს.</u> მათ გულთან ახლოს მიაქვთ ხალხის საერთო და თითოეული ადამიანის გაჭირვება. იღწვიან ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენთან კაკაბეთში დაიწყო სოფლისათვის სასიკეთო საქმეები: სოფლის ბოლოზე გაწმენდილია სამგორის სარწყავი არხი, საკმაოდ მძლავრი ტექნიკით და კარგად. არხის გაწმენდამდე წყალი არ ეტეოდა არხში და არხიდან გადმოსული წყალი საკუთარ ვენახებსა და ნარგავებს გვიზიანებდა. პირადად მე რაღაც მიზეზების გამო სეტყვისგან დაზარალებულთა აღმრიცხველ კომისიას აღრიცხვიდან გამოვრჩი. არადა, სეტყვამ ჩემი ვენახი „ნაწყლობში“ ისე გაანადგურა ორჯერ, რომ ფოთოლიც არ დაუტოვა

პარტია „ქართული ოცნების“ წევრებმა ჩემი გაჭირვება გულთან მიიტანეს და დაზარალებულთა სიაში შემიტანეს. მადლობას გიხდით ყველას ამ დახმარებისათვის.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

<u>იყიდება</u>

იყიდება ფუტკარი – 10 სკა, ფასი შეთანხმებით. დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით:
593 66-92-32. გიორგი